მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი (ელული) №9 (408) (5775) 2015

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

Ш Ы Л О Х А В Т !

14–15 სექტემბერი როშ ჰა შანა – ახალი წელი
დგება ებრაული წელთაღრიცხვის 5776-ე წლიწადი

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

საქართველოს ებრაული თემის ყოველდღიურობა

საჩუქარი თბილისის დიდ სალოცავს

მიშა კაკაიაშვილის ოჯახმა უკვე მეორედ მიართვა საჩუქრად თბილისის დიდ სალოცავს აჰარონ ჰა კოდეშის ფარდა — ეხალის ფაროხეთი. პირველი ფარდა სალოცავს საჩუქრად მიართვა 1998წ. საჩუქარი მიუძღვნა ებრაელი ერის ოცდაექვს საუკუნოვან ცხოვრებას საქართველოში . ფარდის დამზადება შეუკვეთა ქ-ნ ნანა ჯანაშვილ-კრიხელს. ქ-ი ნანა იმ დროს მსახურობდა თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლ „პირიმზე"-ში და ცნობილი იყო ხელნაკეთი ნივთების დამზადებით. როგორც პირველი ფარდა, მეორეც, დამზადებულია ქ-ნ ნანას ხელით.

ხელით ამოქარგული თვითეული სიმბოლიკა ფარადაზე თუ დანამატ აქსესუარებზე საგულდგულოდ შესრულებულია ზუსტი გათვლით. ახალი ფარდა ძველ ფარდასთან შედარებით თავისი შინაარსით უფრო განახლებულია და თემატურად გამდიდარებული. ფარდის ზედა თავზე ამოქარგულია დიადემა. მის ქვეშ თეთრ გვირგვინზე გამოსახულია შვიდფერა ცისარტყელა. მამების აბრაამის, იცხაკის, იაკობის სახელები გამოსახულია ღრუბლებზე. ღრუბლებს შორის კი ასოები „ნ" და „ჯ" ეს ასოები არის ფარდის ავტორის ინციალები. ზედა შუაგულში გამოსახულია მოსეს ათი ცნება,მის ზედა ნაწილს ამშვენებს მამაკაცის კეპი. კეპი მოქსოვილია ქ-ნ ნანას ვაჟების-- არონის და არიელის მიერ. ეგვიპტიდან გამოსვლა და უდაბნოში ორმოცი წლის ყოფნა გამოსახულია მარცხენა და მარჯვენა მენორების მეშვეობით. მენორების საყრდენი ფუძე ემყარება ხუთწიგნეულს. ათი მცნების გარშემო გამოსახულია დაღუპული ეგვიპტელები. ათი მცნების მარცხნივ გამოსახულია მამალი ფარშევანგი, მარჯვნივ კი — დედალი ფარშევანგი. ფარშევანგების ფრთები ამოქარგულია მაკრამეთი. ფარდის ქვედა ნაწილს ამშვენებს დავითის ორი ვარსკვლავი. მათ შუაგულში გამოსახულია ბეთ ამიკდაშის კედელი. ფარდის ქვედა ნაწილს ამშვენებს დედების: სარას, რახელის, რივკას, ლიას სახელები. შაბათის პატივისცემა გამოხატულია სანთლის, მარილის და ხალის გამოსახულებით. ამასთან ერთად გამოსახულია ექვსას ცამეტი მადლის ქმნა და თორმეტი შტო. ორი შტო გამოსახულია მძივების წკრივით. არ არის დავიწყებული მეცამეტე შტო-შებატინი იაკობის ქალიშვილი დინა ,როგორც ოჯახის შექმნის და ერის გამრავლების სიმბოლო ,რაც გამოსახულია ორი ბეჭდით. არ არის დავიწყებული ნოახიც. ფარდის ძირს ამშვენებს თვლები ნოახის ყურძნის გამოსახულებით.

ეს ყველაფერი მოთავსებულია ერთ ფარდაზე. რომელიც აქსესუარებთან ერთად ამშვენებს თბილისის დიდი სალოცავის მეორე სართულს. შეკვეთის დამზადებისას ქ-ნ ნანამ ჩადო არა მარტო თავისი შრომა, ჯაფა, ხელოვნება არამედ თავისი გული, თორის ცოდნა.

ბატონი მიშა კაკიაშვილი თავის საჩუქარს აფასებს, როგორც საშუალებას — მას სურს ყველამ შეიგრძნოს მათი მნიშვნელობა, დანიშნულება და საჭიროება ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში. მას აგრეთვე სურს ბიძგი მისცეს მომავალ თაობას ირწმუნონ, მოსეს მცნებანი, თორის პატივისცემა და ადათ წესების დაცვა.

რაფაელი ძლიერი

თბილისში, 1933 წელს ებრაულ ოჯახში დაბადებული რაფო მიხეილის ძე ათანელოვი ებრაელობამ კარგად გაიცნო დიდი თბილისის სალოცავის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. რაფო ათანელოვის მამა მიხეილ ათანელოვი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაწვეული იქნა ომში. დარჩენილ ოთხ მცირეწლოვან შვილთან ერთად დედა ლია ბაჩაკაშვილი მარტო უმკლავდებოდა ცხოვრების სიმძიმეს და ზრდიდა ოთხ ვაჟიშვილს. მან შეძლო ოთხივე ვაჟი აღეზარდა ებრაული ადათ-წესების მიხედვით. ერთდროულად ოთხივე ვაჟი: შამილი, შალვა, რაფო და აბრამი - ალბერტი მიაბარა თორის სასწავლებლად რაბი ყიმანუელ დავითაშვილს. ვაჟები გულდასმით სწავლობდნენ თორას და მთელი ცხოვრება ცდილობდნენ შეთვისებული ებრაული სარწმუნოებით ეცხოვრათ. მათ ჰქონდათ დიდი სურვილი მთელი თავიანთი ცხოვრება მიეძღვნათ რელიგიისათვის, მაგრამ ცხოვრებამ ოთხივე მათგანი სხვა მიმართულებით წაიყვანა. 1944 წელს სხვა მოსწავლეებთან ერთად რაფო ათანელოვი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მივიდა. ქართული ცეკვების შესწავლა დაიწყო ანტონ ჩიხლაძის ჯგუფში. 1945 წელს დიდი სამამულო ომის დასრულების შემდეგ, თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრში ჩატარდა საქართველოს ბავშთა ხელოვნების ოლიმპიადა,რომელშიც საცეკვავო ჯგუფთან ერთად მიიღო მონაწილეობა.1946 წელს გადავიდა ქალაქის პოლიციის სამმართველოს ბაზაზე არსებულ მიხეილ კობეშავიძის ქართული ცეკვის ანსამბლ „მხედრულში." ანსამბლს ახლდა მედუდუკეთა ჯგუფი მიხეილ ქსოვრელის ხელმძღვანელობით. 1948 წლიდან საცეკვაო კარიერა განაგრძო ქართლ-კახური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული მომღერალი და ლოტბარი მარიამ თარხნიშვილი. 1950 წელს ანსამბლი გასტოლებზე გაემგზავრა მოსკოვში. სამწუხაროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ ანსამბლი დაიხურა. მიუხედავად ამისა, ხელოვნებაში შეყვარებულმა მოცეკვავემ ცეკვა განაგრძო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერის და ცეკვის ანსამბლში. ფეხის ცერებზე შესრულებული ქართული ცეკვების შემდეგ არც თუ ისე იოლი იყო სხვა ხასიათის ცეკვების შესწავლა და შესრულება. ამისთვის მას დასჭირდა საკმაოდ დიდი შრომა — შეისწავალა და შეასრულა მსოფლო ხალხთა ცეკვები: „განდაგანა", „კაზაკური", სომხური, აზერბაჯანული, რუსული ცეკვები. ცეკვა „ხმლებით" ოპერა „გაიანედან" იყო საკმაოდ მძიმე, ითხოვდა თითეული ილეთის მოძრაობის გათვლას და შესრულებას, ითხოვდა ცეკვის დროს ანსამბლის სხვა მოცეკვავეებთან ერთად ჰარმონიას, რადგანაც ერთი არაზუსტი მოძრაობა, ერთი არაზუსტი შესრულება და შესაძლებელი იქნებოდა არა მარტო მთელი ცეკვის ჩაშლა, არამედ პარტნიორის ხმლით დაზიანება . ბუნებრივია, ეს ყველაფერი ითხოვდა საკმაოდ დიდ ძალასთან ერთად დიდ გონივრულ მობილიზაციას ერთად საცეკვავო ნიჭს და შესაბამის უნარს. ცეკვის მაღალ პროფესიულ განვითარებას ითხოვდა იშვიათი სპორტული ცეკვა „ფეხბურთი," სადაც შეასრულა ფეხბურთელის ცეკვა. უნიკალური ცეკვა „ფეხბურთი" დადგმული იყო ფეხბურთის თამაშის გათვალისწინებით. მოიცავდა მოცეკვავე ფეხბურთელებს, მოცეკვავე მსაჯს, მაყურებლებს, საფეხბურთო ინცინდენტსაც, მილიციონერს და ექიმისაც კი. ცეკვა გრძელდებოდა 12 წუთის მანძილზე 16 კაციანი დასით. ყოველივეს შემდეგ საცეკვავო კარიერა განაგრძო სუხიშვილების ანსამბლში. მედოლედ დახვდა ელკა თეთრუაშვილი. 1956 წელს მიწვეული იყო კიევში უკრაინის ცეკვის ფესტივალზე, მიანიჭეს ფესტივალის ლაურეატის წოდება. 1958 წლიდან კი მუშაობა განაგრძო საქართველოს ფილარმონიის ესტრადაზე მსახიობ-მოცეკვავედ. გასტროლებით მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი. 1965 წლიდან საცეკვავო გამოცდილებას და ცოდნას გადასცემდა მომდევნო თაობებს. მთელი საცეკვავო კარიერის მანძილზე და შემდეგაც მან არ დაივიწყა თავისი სარწმუნოება და რელიგია. არ დაივიწყა და არ გაწყვიტა ბავშობიდან ჩამოყალიბებული მჭიდრო ურთიერთობა სალოცავთან. ახსოვდა, რომ დღეში სამჯერ უნდა ელოცა. არა მარტო თბილისში ყოფნისას, არამედ გასტროლების დროსაც, რომელ ქალაქშიც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ეძებდა სალოცავს და იქ ასრულებდა დღის შესაბამის ლოცვას. 1959 წელს დნეპროპეტროვსკში გასტროლებისას, დილით ეწვია სალოცავს. იქ დახვდა ხანშიშესული მრევლი, მრევლი ჯერ დაფრთხა უცხო ახალგაზრდის დანახვისას, მაგრამ, როცა მოიკითხა თორა, ციციტი და სხვა სალოცავი აქსესუარები, გაუქრათ ყოველგვარი კითხვა. აუხსნა, რომ ქართველი ებრაელობა ბავშობიდანვე სწავლობს, იცავს და ასრულებს ყოველ ადათ-წესს. ამ ტრადიციისათვის არც მაშინ უღალატნია, როცა იყო დამოკიდებული და იყო თავისუფლება აღკვეთილი — ხელი არ აიღო თავისი ადათ-წესების შესრულებაზე და შეძლო ლოცვებთან ერთად ყველა წესის დაცვა ასევე გადასცა და ჩაუნერგა თავის ოთხივე შვილს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცდილობს სულიერი შველა ლოცვების მეშვეობით იპოვოს.

თამარ შავოშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვა ონის სინაგოგის 120 წლისთავის იუბილეზე

— მჯერა, რომ გავა საუკუნეები და ამ ადგილზე ქართველები და ებრაელები ისევ შეიკრიბებიან და ისევ იზეიმებენ ჩვენს ძმობას და მეგობრობას,ეს სინაგოგა აღადგინა თქვენმა მეგობარმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას, რომელიც არის გამორჩეული მეგობარი ებრაელი ხალხის. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში გაძლიერდა ჩვენს შორის 26 საუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა. მისი დამსახურებაა ის, რომ ჩვენი მოქალაქეები უვიზოდ მოგზაურობენ ისრაელში და მისი დამსახურებაა ის, რომ დღეს აქ შეკრებილებს მოგვეცა საშუალება ერთად ვიზეიმოთ ონის სინაგოგის 120 წლისთავი.

ონის სინაგოგა არის სიმბოლო ქართველებისა და ებრაელების ძმობის, ჩვენი 26 საუკუნოვანი მეგობრობის. მინდა ეს დღე მივულოცო ჩვენს ქართველ ებრაელებს, რომლებიც წლების წინ ცხოვრობდნენ ონში და დღეს აქ არიან ჩვენთან ერთად. მინდა განსაკუთრებით მივესალმო ისრაელის ელჩს საქართველოში, ბატონ იუვალ ფუქსს. აქ იმყოფებიან მთავრობის და პარლამენტის წევრები. ჩვენ თქვენთან ერთად ვზეიმობთ დღევანდელ დღეს. ონის სინაგოგა აშენდა 120 წლის წინ ქართველების და ებრაელების ხელით. მივესალმები ისრაელიდან ჩამოსულ ქართველ ებრაელებს. თქვენთვის საქართველო მეორე სამშობლოა, თქვენ აქ ხართ სტუმრებიც და მასპინძლებიც. ამიტომ, მთელი სიყვარულით და პატივისცემით მოგესალმებით და გისურვებთ მშვიდობას, გისურვებთ გაძლიერებას.

* * *

ისრაელის ელჩმა საქართველოში, იუვალ ფუქსმა საქართველოს მთავრობას და ყოფილ პრემიერ–მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მადლობა გადაუხადა ონის სინაგოგის რესტავრაციისთვის. მისი განცხადებით, საქართველოში მდებარე ყველა სინაგოგის, მათ შორის 120 წლიანი ონის სინაგოგის აღდგენა–რესტავრაცია სწორედ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მოხდა.

ებრაელთა ცხოვრება რაჭაში

ანა ერისთავი

„ებრაულ-ქართული ურთიერთობისათვის ალბათ, დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, ის რომ ჩვენი ეკლესიის პირველი წმინდანი სწორედ ებრაელი სიდონიაა, რომელიც კვართთან ერთად დაიკრძალა მცხეთაში, რომ მთელი ათი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ბიბლიური დავითისა და სოლომონის შთამომავალი ბაგრატიონთა დინასტია მართავდა, რომ საქართველოშია დაცული უძველესი ებრაული ხელნაწერი — ლაილაშის ბიბლია, რომ ქართველი ებრაელები არიან, შეიძლება ითქვას, ყველაზე ერთგული მიმდევარნი იმ წესებისა და ტრადიციებისა, რომელიც მათ მოსე წინასწარმეტყველმა დაუდგინათ“.

ილია II. უწმინდესი და უნეტარესი
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ხალხის ხსოვნამ ძველთაძველი ლეგენდა შემოინახა: როდესაც ბაბილონის მრისხანე მბრძანებელმა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაარბია და ტაძარი სოლომონისა ნანგრევებად აქცია, ტაძრის ქვები თურმე ჰაერში აიჭრა და მთელ ქვეყნიერებაზე დაიფანტა. ერთ-ერთი ქვა აქაც დაცემულა, ონში, სადაც იმ ადგილზე შემდგომში დიდებული სინაგოგა წამოიმართა სოლომონის ტაძრის დანგრევა ებრაელთა ისტორიის ავბედით ხანას განეკუთვნება იდგა ჟამი სიძულვილისა და „ქვათა მიმოფანტვისა“.

სწორედ მაშინ შემოეკედლა იუდეიადან ლტოლვილი ებრაელობა საქართველოს, ერთი ნაწილი რაჭაში, ქვეყნის მთიანეთში დამკვიდრდა, თავისი ნიჭითა და მუხლჩაუხრელი გარჯით, სილაღით დაამტკიცა საქართველოსა და ისრაელის სიყვარული და ერთგულება.

ახალი სინაგოგის აგებამდე, ონელ ებრაელებს ჰქონდათ მცირე სიდიდის სალოცავი შენობა, „პატარა ლოცვის სახელწოდებით („პატარა ლოცვა“, 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის დროს დაინგრა და მისი აღდგენა აღარ მომხდარა). „პატარა ლოცვა“, მცირე მოცულობის გამო, ჯამაათს ვეღარ იტევდა, ებრაელთა თემმა გადაწყვიტა ახალი ტაძრის აგება, საკუთარი ხარჯებით, კაპიკს კაპიკზე დებდნენ, რომ ჩანაფიქრი შეესრულებინათ.

ონელმა ხახამ ელია ამშიკაშვილმა ნახა საუკეთესო არქიტექტურით ნაგები პოლონელ ებრაელთა სალოცავი, ძალიან მოეწონა და განიზრახა თავის მშობლიურ ონში აეშენებინა. „სიტყვას საქმე უნდაო“ — პროექტი, ჩამოიტანა ონში და თვითონვე ითავა სალოცავის აშენება.

სალოცავის ასაშენებლად თეთრი ფიქალი ქვა ხარ-კამეჩით ამოჰქონდათ ამბროლაურის რაიონიდან (ქვაფტკარიდან), დაიქირავეს ბერძენი ქვის მთლელები და დაიწყო სინაგოგის მშენებლობა.

სალოცავის აშენებას მთელი ონის ჯამაათი ამოუდგა მხარში, ვინ ფიზიკური შრომით. სალოცავის მშენებლობა 1895 წელს დასრულდა და გაუღო კარი თავის ერთგულ მრევლს. აღსანიშნავია ისიც რომ სალოცავი აშენდა ონის ცენტრში, რომელსაც მხარი დაუჭირა ქართველმა მოსახლეობამ.

საქართველოში 21 სინაგოგაა, მათ შორის სილამაზითა და სიდიდით გამოირჩევა, სინაგოგა ქალაქ ონში, რომელიც მზის ამოსვლისას მტრედივით ფრთებსა შლის და მიილტვის ცისკენ, შუადღის ხვატში კი სულის მოთქმის საშუალებას აძლევს დამაშვრალ მლოცველს, ხოლო ბინდის ჩამოდგომისას, ვარსკვლავებთან საუბრობს და ქნარზე დავითის საგალობლებს აჟღერებს.

ქვით ნაშენი სალოცავი უხვადაა მოჩუქურთმებული. ის მნიშვნელოვანი არქიტექტურულ ძეგლია — სახურავი გუმბათოვანია, დასრულებულია მრავალქიმიანი ვარსკვლავით. შენობა აღმოსავლეთისკენ არის ორიენტირებული, ვინაიდან მლოცველის სახე მიქცეული უნდა ყოფილიყო იერუსალიმისაკენ. ალბათ, ამით აიხსნება სინაგოგის აღმოსავლეთი მხარის მდიდარი ჩუქურთმებით შემკობა, ვიდრე მისი დასავლეთი მხარისა. სალოცავის შიდა სამხრეთის კედელი მოხატა მხატვარმა შოთა გოშაძემ.

სალოცავში, მლოცველი რაბინის ხმა ყველა კუთხეში თანაბრად გაისმოდა, სალოცავი 400-მდე კაცს იტევდა. ფასადის თავზე მოთავსებულ მარმარილოს ფილაზე, შემოკლებით არის გადმოცემული მოსეს ათი მცნება.

„1895 წელს, საზეიმოდ გაიხსნა ონის სინაგოგა. ასეთი ხალხმრავლობა ონს იშვიათად ენახა, მოვიდნენ სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან. გახსნას ესწრებოდნენ ონში მცხოვრები ყველა ეროვნების მოქალაქეები, სალოცავის ეზოში საერთო ტრაპეზი გაიმართა. სასულიერო და საერო პირებმა საზეიმო სიტყვები წარმოთქვეს. სინაგოგის კარების გახსნის უფლება დიდ ფასად გაიყიდა. წარუშლელი იყო „პატარა ლოცვიდან“, „დიდ ლოცვაში“ თორის გრაგნილის გამოტანა დიდი და პატარა მხიარულობდა, იყო ქეიფი და დროსტარება.

რაბინების ქადაგებანი და ღაღადისი, მაგნიტივით იზიდავდა მლოცველთა გულებს, სალოცავში დგებოდა ნათლობა, ბარ-მიცვა, ყველა ის რიტუალი რაც ებრაელ ხალხს უწერიათ რჯულში.

ასე იყო 1927 წლამდე, მაგრამ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა. საბჭოთა მთავრობის ბრძანება, ეკლესიების ნგრევის შესახებ, უმოწყალოდ ანგრევდნენ როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსულმანურ და სხვა ხალხთა რელიგიურ ძეგლებს იგივე საფრთხე დაემუქრა ონის ებრაელთა სინაგოგას.

„ხალხი ღელავდა, ხალხი ბობოქრობდა და შეიკრიბნენ სათათბიროდ, გადაწყდა, ჯამაათს თბილისში, მთავრობის ხელმძღვანელებთან გაეგზავნათ მჭევრმეტყველი კაცი და ჯამაათის სახელით ეთხოვა სალოცავის შენარჩუნება. მსოფლიო მნიშვნელობის რაბინი, დავით ბააზოვი. ამ უნიკალური სალოცავის ნგრევის წინააღმდეგ გამოვიდა. დ, ბააზოვის ინიციატივით ონიდან — თბილისში, მალულად გაიგზავნა რამდენიმე მორწმუნე და ბრძენი ებრაელი, ხოლო ღამით, როდესაც სინაგოგას დანგრევას უპირებდნენ სალოცავის შიგნით ჩაიკეტნენ 30-მდე მეძუძური ქალი, ჩვილი ბავშვებით, მათი გადაწყვეტილება ურყევი იყო — ან დახოცილიყვნენ სალოცავში ბავშვებთან ერთად, ან დაეხსნათ სალოცავი ნგრევა-განადგურებისაგან. მთავრობამ უკან დაიხია — ვერ აღუდგა წინ, ხალხის ასეთ თავგანწირვას და შეწყნარების გზას დაადგა; ხელი ვერ აღმართა ეკლესიის წინააღმდეგ. ასე გადარჩა იმ უღმერთობის დროს განადგურებას, ეს შესანიშნავი სინაგოგა.

სინაგოგაში გარდა სეფერთორებისა, დაცულია სხვა წიგნები. სინაგოგაში იმართება ებრაული კალენდრით აღსანიშნავი ყველა დღესასწაული. სინაგოგის ეზოში განლაგებულია, რელიგიური სამსახურის შესასრულებლად განკუთვნილი მცირე შენობები, რომლებიც აშენებულია დავით ბააზოვის ონში მოღვაწეობის პერიოდში.

უმძიმესი მოსაგონებელია 1991 წლის 29 აპრილი, როცა საშინელმა მიწისძვრამ მთელი რაჭა დაანგრია, მთლიანად დაანგრია ებრაელთა ძველი სალოცავი, ხოლო დიდი სინაგოგა სასწაულებრივად გადარჩა. თუმც დაანგრია კარიბჭე, დასკდა კედლები, ჩამოიშალა ბათქაში, დაინგრა სალოცავის გალავანი, სალოცავის სახურავიდან ქვის ოთხივე სტელა მოწყდა და დაიმსხვრა, დაზიანდა სათავსოები.

ბრწყინვალე არქიტექტორმა ბ. ბოსტანაშვილმა მოაწესრიგა სალოცავის კარიბჭე და გალავანი.

სინაგოგა, თავისი მშვენიერებითა და დიდებულებით აღდგა და 1995 წლის 17 სექტემბერს დიდი აღმავლობით ჩატარდა სინაგოგის 100 წლისთავის იუბილე.

საიუბილეო ზეიმზე დასასწრებად მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირები. უამრავი სტუმარი ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან: ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

* * *

განსაკუთრებული ქალაქი იყო ონი. როდესაც აქ ებრაელები სახლობდნენ, სიცოცხლე და ხალისი ახლდა მათს აქ ყოფნას. ეს ქალაქი სამოთხის სადარი იყო. საინტერესო იყო ებრაელებთან ურთიერთობა, როგორ შეხმატკბილებულები ვცხოვრობდით, ერთგულებითა და სიყვარულით, ერთმანეთის ლხინსა და ჭირს ვიზიარებდით. ფერადი და მზით გაჯერებული იყო ქალაქი, ზღაპრული სანახაობა გვეშლებოდა თვალწინ, როდესაც ებრაული ქორწილის მოწმენი ვხდებოდით, (ეს იყო ულამაზესი წლები ჩემი ბავშვობისა), მხიარული ფერებით და მუსიკით გაჯერებული.

ონში ებრაელთა დასახლებას ხელი შეუწყო ქალაქის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ონი რაჭის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი გახლდათ. აქ განვითარებული იყო აღებ-მიცემობა, შინამრეწველობა და ხელოსნობა.

ონში 100 წლის წინათ ცხოვრობდა 129 კომლამდე ებრაელი, 80 კომლამდე ქართველი და 20 კომლამდე სომეხი. სულ ზემო რაჭის მოსახლეობა შეადგენდა 1255 კაცს.

ცხოვრობდნენ ერთმანეთზე მიდგმულ ხის ქოხმახებსა და ვიწრო შუკებსა და უბნებში. ფიზიკურად ჯანმრთელები, ლამაზები და სხარტები, უაღრესად მორწმუნეები, შრომისმოყვარენი, მხიარულნი, მშვიდობიანნი და უღალატოები, გაწონასწორებულნი და პატიოსნები. ონში ებრაელობა მრავალი გვარისაგან შედგებოდა: ამშიკაშვილები, ხახიაშვილები, შიმშილაშვილები, ჩაჩაშვილები, ტატიკიშვილები, ქოსაშვილები, ქონაშვილები, ყოყუაშვილები, ხეტუაშვილები, კიკოშვილები, გორელაშვილები, ბერიკაშვილები, დავითაშვილები, ჭანჭალაშვილები, გაგულაშვილები, ბააზოვები, ბუზუკაშვილები, ნანიაშვილები, ბანანაშვილები, ბეტუაშვილები, თოთიაშვილები და სხვები.

ონი განთქმული იყო რაბინებითა და ღვთის მსახურებით: ელიაჰუ ამშიკაშვილი, დავით ბააზოვი, ერემია ხახიაშვილი, მიხაელ შიმშილაშვილი, მენაშე ჩაჩაშვილი, დანიელ შიმშილაშვილი, მოშე ხახიაშვილი, იომტობ ბუზუკაშვილი, სიმონა ხიტიბაშვილი, ნაფთალი ხახიაშვილი, ფილხაზ ჩაჩაშვილი, მოშე ბუზუკაშვილი, ელიაჰუ ხახიაშვილი, აჰარონ ჩაჩაშვილი, ყაზარია შიმშილაშვილი, დავით ჭანჭალაშვილი, ხახამი ყიმანუელი და სხვები. მუდმივი მლოცველი, რაბიიანკელი, რომელიც თორის კანონებს არჩევდა და განუმარტავდა ხალხს დინებს (კანონებს). რაბი-ხახამ ერემია ხახიაშვილი — გემარის დიდი მცოდნე და კაბალისტი. იგი სიღარიბის მიუხედავად, ერთთავად სულ თორის კითხვაში ათენაღამებდა. ხახამ ირმიამ რელიგიური განათლება იერუსალიმში მიიღო. ეს კაცი თავისი რელიგიური ცოდნით საქართველოში ყველაზე მაღლა იდგა, მაგრამ სოციალისტურ სახელმწიფოში თავის ცოდნას ვერ ამზეურებდა.

ხახამი ნაფთალი ხახიაშვილი, — ამ წუთისოფლად ღარიბი, მაგრამ სულიერად უმდიდრესი და ზნეობით ამაღლებული, იგი ებრაულ ენას ასწავლიდა ჯამაათს, მისი სიყვარული ახალგაზრდობას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ჰქონდა მიწური სახლი, ხის ტახტზე გადაფარებული ჭილობი — ეს ტახტი იყო მისი ავლადიდება. საკვირველი იყო რით არსებობდა, ძალიან უჭირდა, მაგრამ სულ

ულიმოდა სახე, კმაყოფილი იყო ღმერთისა და არასოდეს დასცდენია სამდურავი.

ხახამი დანიელ შიმშილაშვილი — უბრალოებით აღსავსე, ნაფთალის მსგავსად — ონელ ებრაელ ახალგაზრდობას უანგაროდ ასწავლიდა თორის კითხვასა და ივრითს. დიდხანს ემსახურებოდა ონის ჯამაათს თავდადებულად და პატიოსნად. ჰქონდა შესანიშნავი ოჯახი და შვილებიც დიდი რწმენით აღზარდა.

ხახამ მენაშე ჩაჩაშვილი, ბიბლიური შეხედულების, ჯანსაღი სულიერად და ფიზიკურად, თორის უებრო მცოდნე, სიკვდილამდე რწმენის ერთგული, ონის ჯამაათის ხსოვნაში დარჩა ღვთის უანგარო მსახურად.

რაბი-ხახამ მიხეილ (ღიღილო) შიმშილაშვილი, — მაღალი, პატრიარქალური შეხედულების, პირ-მღიმარი პიროვნება, შესანიშნავი შოხეტი და მლოცველი, უებრო მოდარაშე. თავისი ჩინებული ხმით ატყვევებდა და იზიდავდა მსმენელთ. ხახამ მიხეილი ღრმად მოხუცებული ტრაგიკულად გარდაიცვალა — საავტომობილო კატასტროფაში. მისი გარდაცვალება ცხარე ცრემლით დაიტირა მთელმა ჯამაათმა.

„გახსოვთ სელიხოთზე მისი შოფრის დაკვრა,
ცისკარს აგებებდა ერის გაშლილ დროშებს,
ერის დროშად სჩანდა, ერის ბელადს გავდა,
ჩვენი სიყვარული — ჩვენი ხახამ მოშე!“

— ეს გულშიჩამწვდომი ლექსი უძღვნა ხახამ მოშეს პოეტმა დანიელ ხახიაშვილმა.

რაბი ხახამ — მოშე (მიშიკო) ხახიაშვილი — კაცი ლეგენდა, ონის ჯამაათის უსაყვარლესი რაბი, მუდამ თორის გზებით მოსიარულე, დაუღალავი მშრომელი, ჯამაათის უანგარო მსახური, საოცარი ხმის პატრონი, მისი ემოციური ლოცვები და დაკრული შოფრის ხმა ურჟოლვას ჰგვრიდა მთელ ჯამაათს. იგი გახლდათ ყველას ჭირისა და ლხინის მოზიარე. მის სიტყვას ჰქონდა ფასი და წონა. მას დღესაც უდიდესი სიყვარულით იგონებენ და აქებენ. ხახამ მოშეს უკვდავსაყოფად ისრაელში ქალაქ ბეერ-შევაში, ონელმა ებრაელებმა მისი სახელობის სალოცავი ააშენეს.

ხახამ ყიმანუელ ხიტიბაშვილი — უაღრესად მორწმუნე და უღალატო თორისა და ხალხის მსახური შესანიშნავი პიროვნება და დიდი ოჯახის პატრონი იყო. მისი მეუღლე ქალბატონი აბელა — ქმართან ერთად ასწავლიდა თორას ჯამაათს.

ხახამ ელიაუ ხახიაშვილი — კაცი ლეგენდა, ციცერონივით მჭევრმეტყველი, ღვთისა და ხალხის დიდი მსახური საზოგადო საქმისათვის დაბადებული, ხახამ ელიაუ ხახიაშვილმა, რელიგიური განათლება იეშიბაში დიდ რაბებთან მიიღო, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ბელორუსიაში — ქალაქ მინსკში განსწავლულ რაბინებთან. დაბრუნდა და ონის ჯამაათს შეესისხლხორცა, შეუერთდა რაბინთა დიდ პლეადას. ის მარტო რელიგიის მსახური კი არ იყო, კარგი მეურნე ადამიანიც გახლდათ. უყვარდა შრომა თავის მამულში, რომელსაც თვალისჩინივით უვლიდა, სხლავდა ვენახს, თოხნიდა და წამლავდა ვაზს, მოჰყავდა სიმინდი, ლობიო, ღვინოს ძვირფასს აყენებდა.

ხახამ იომტობ ბუზუკაშვილი, თორისა და ჯამაათის დიდი მსახური იყო, უწმინდესი სულიერი სამყაროთი, გამორჩეული გარეგნობით, ნათელი ეფინა სახეზე, მშვიდობიანი და სიბრძნით ქებული გახლდათ. კარგი მცოდნე გემარისა და მიშნის, ჯამაათის უანგარო მსახური, გაჭირვებულისა და დავრდომილის დიდი შემწე და მფარველი. ძვირფასი მშრომელი და კარგი ოჯახის უფროსი. მისი შვილები გამოირჩევიან სიბრძნითა და მშვიდობისმყოფელობით.

ხახამ ისრაელ ბუზუკაშვილი — იომტობის ძმა, ერთგული თორისა და ჯამაათისა, გაწონასწორებული და დამრიგებელი თავისი ხალხისა.

ონის ჯამაათს, სხვა რაბინებიც ჰყავდათ, რომელთა შორის გამორჩეულია ღირსეული ხახამი ელია ამშიკაშვილი, რომელმაც ონელ ღარიბ ებრაელობას მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულში, აუშენა დიდებული სალოცავი, რომელიც არა თუ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში გამორჩეული გახლდათ და ეს სალოცავი მიზეზი იმისა, რომ ონი პატარა იერუსალიმად იწოდებოდა. აი ის უდიდესი და უწმინდესი დამსახურება, რაც ხახამ ელია ამშიკაშვილს აქვს ონის ჯამაათის წინაშე, ღვთისა და ერის წინაშე სახსოვარი მარადიული.

რაბი დავით ბააზოვი — მასზე ლეგენდები დადის ქვეყნიდან ქვეყანაში. იგი იყო უდიდესი საზოგადო მოღვაწე. განათლებული, უაღრესად კულტურული-უნიჭიერესი ადამიანი: პუბლიცისტი, ისტორიკოსი, მწერალი, — ბააზოვების ოჯახის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ამ ოჯახმა, საქართველოს ებრაელთა ისტორიაში, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მატიანეში, ოქროს ასოებით ჩაწერა არაერთი ფურცელი, რომელიც მარადიულად დარჩება კაცობრიობის ისტორიაში.

თანამედროვეთა გადმოცემით, იგი მარტო ონელ ებრაელთა წინამძღოლი კი არ იყო, სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ.

დავით ბააზოვი იყო — რაბი მლოცველი და თავისი ერის თავდადებული რაინდი.

„ჩვენ ქართველი ებრაელები იმდენად ვართ შეერთებული ქართველებთან და ისე შეთვისებული მათ მიერ რომ, ჩვენი დაშორება ქართველებისაგან მხოლოდ თავის მტრობა იქნებოდა, რაც მიმაჩნია აუცილებელ საჭიროებად საქართველოს ებრაელობისათვის, იმას ვლაპარაკობ ქადაგებაში, იმას ვწერ გაზეთებში... შესწავლა ებრაული კულტურისა, ქართული ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მტკიცე კავშირი ქართველ ხალხთან და მათთან ერთად მუშაობა, აი საგანი ჩემი ქადაგებისა“ (გაზეთი „სამშობლო“, 191, 628).

დავით მენახემის ძე ბააზოვი, სიონიზმისათვის ციმბირში გადაასახლეს (1938-1945 წ.) დაბრუნებას კი ეღირსა, მაგრამ ჯანმრთელობა შელახული, მალე გარდაიცვალა — 1947 წელს.

ისტორიის მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა ქართველთა და ებრაელთა თავზე, არ დაკლებიათ მტერთაგან შევიწროება, დარბევა, ნგრევა და ცეცხლითა და მახვილით გასწორება, მაგრამ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის თავგანწირული ბრძოლის ჟინი ყოველთვის ჰქონდათ, მათი ვაჟკაცური სული ვერ მოდრიკა აუტანელმა კირთებამ, დააძმობილა, დაამეგობრა ერთმანეთთან უზენაესმა, გამოაწრთო საუკუნეების განმავლობაში, ერთმანეთისა ესმით და ერთმანეთს პატივისცემას მიაგებენ აზვირთებულ მსოფლიოს, მღვრიე დინებას არ უერთდება მათი თავანკარა სიყვარულის წყარო, რომელიც უკვდავ ტალღებად მიედინება და სიყვარულის ენაზე გვეჩურჩულება.

საქართველოს დიდი შვილები ესარჩლებოდნენ ებრაელებს. დაუვიწყარია საბა კლდიაშვილის ზნეობრივი გმირობა, ებრაელთა დევნის წინააღმდეგ მისი გამოსვლა და მოწამებრივი აღსასრული.

* * *

ონის საზოგადოებაში აღიზარდნენ დოქტორი დავით შიმშილაშვილი, პოეტები თინა შიმშილაშვილი, შალვა დავითაშვილი, დანიელ ხახიაშვილი და სხვები.

ონში ცხოვრება საინტერესო და მიმზიდველი იყო, სიყვარული და ძმობა სუფევდა. მომრავლდა ებრაელთა წრიდან გამოსული ინტელიგენცია. შესანიშნავი ექიმები ეამაყებოდა რაჭას, ბრწყინვალე ქირურგი (მიშა) — მიხეილ ჩაჩაშვილი, — მთელი რაჭის იმედი და გადამრჩენი„ქვეყნის გადამრჩენს“ ეძახდნენ.

როგორ გვენატრებით ჩვენო მეგობრებო, მეზობლებო და ჩემო თანაკლასელებო: იოსებ და დავით ბუზუკაშვილებო, ციცო გაგულაშვილო, მანანა და რუბენ ხახიაშვილებო, ნუნუ ქოსაშვილო, გურამ შიმშილაშვილო, მარგალიტა ჩაჩაშვილო, არონ, ლევან შიმშილაშვილებო, თინა ჭანჭალაშვილო, ქეთევან ხახიაშვილო, — ისრაელის, მადიდებელო, — მეხოტბევ (გაგახსენებ, ლექსების რვეული რომ ვნახეთ, შენმა თანაკლასელებმა და გაოცებულები ვიყავით, იმდენი ლექსი, რომ გქონდა მიძღვნილი აღთქმული მიწისადმი) თქვენდამი ჩვენი სიყვარული მარადიულია, აქ, ამ მადლიანმა მიწამ და ზეცამ გშვათ და აქ დაირწა თქვენი აკვანი, აქ შეისწავლეთ „დედა ენა“ და ამეტყველდით ღვთაებრივ ენაზე, რომელსაც არ ივიწყებთ და შვილმომავალს ასწავლით, ასწავლით საქართველოსა და ისრაელის სიყვარულს, ასე ახლობელს, სანატრელსა და სანუკვარს „გული მისცეს, გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ — არაერთხელ გაგიმეორებიათ უკვდავი შოთა რუსთაველის აფორიზმი, „ვეფხისტყაოსნიდან“. მთელი სამყარო ხედავს და შეიგრძნობს, ჩვენი ერების უღალატო მეგობრობასა და სიყვარულს, ბედნიერები ვართ, ამაყი ვართ, რომ ერთმანეთი გვეიმედება, რომ არაფერი გაგვიჭირდება, რომ მშვიდობა დაისადგურებს კაცთა შორის. ერთად ყოფნის სიხარული, არ მოგვიშალოს გამჩენმა!

„გზა დამიცალეთ,
არ გეგონოთ ვიღაც ლაჩარი, ვიღაც მონა,
მე მოვდივარ იუდეველი“.

ონელებს ეამაყებათ რომ გერცელ ბააზოვი ამ ქალაქში დაიბადა.

პირველდაწყებითი განათლებაც აქ მიიღო. გერცელი ბევრს კითხულობდა, თავისი მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში, პირველ ხანებში ლექსებს წერდა, თარგმნიდა ძველ ებრაულიდან კლასიკოსთა ნაწარმოებებს, შემდეგ დრამატული ნაწარმოებების შექმნა დაიწყო.

გ. ბააზოვი მწვავედ განიცდიდა ხალხის სიღატაკისა და უმეცრების წყვდიადს, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის კოშმარს, ამ წლების მძიმე შთაბეჭდილება საფუძვლად დაედო მწერლის მთელ შემოქმედებით მოღვაწეობას. გერცელის ლექსები, წერილები და თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „ქართული მწერლობა“). პირველი ლექსები გამოაქვეყნა ქუთაისის გაზეთ „ებრაელთა ხმაში“.

1924 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ქართველ ებრაელთა დრამატული დასი „კადიმა“.

გერცელ ბააზოვი შემოვიდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში და დაიმკვიდრა იქ საპატიო სახელი.

1931-32 წლებში მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა მისი პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ამ პიესით ქართულ თეატრში პირველად იქნა წარმოდგენილი ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, რომლებიც კოლმეურნეობაში ჩაბმით ფიქრობენ თავი დააღწიონ სიღარიბესა და დუხჭირ ცხოვრებას. დამუნჯებული ღარიბი ებრაელები ალაპარაკდნენო, გვეუბნება დრამატურგი.

1931 წელს გამოდის გ. ბააზოვის მოთხრობები: „გელათის ქუჩის დასასრული“ (პირველი ნაწარმოები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში საქართველოს ებრაელთა ცხოვრებიდან) და „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“. 1935 წელს კი ავტობიოგრაფიულ ტრილოგიად ჩაფიქრებული რომანის პირველი წიგნი „ფეთხაინი“.

მისი პირველი პიესაა „დილლეამარ“ (1929), შემდეგ დაიწერა პიესები „განურჩევლად პიროვნებისა“, „იცკა რიჟინაშვილი“, ტრაგედია „ხაგაი“, პიესა „შავი ზღვის პირას“.

1938 წელს მთლიანად ამოგლიჯეს ცხოვრებიდანაც და მწერლობიდანაც. შეეწირა რეპრესიებს, ჩვენი ეპოქის შავბნელ პერიოდს. 1998 წელს, როდესაც საქართველომ იზეიმა ებრაელი ხალხის საქართველოში დამკვიდრების 26 საუკუნოვანი იუბილე, ქ. ონში სახლს, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გამოჩენილი ებრაელი საზოგადო მოღვაწე, რაბინი დავით ბააზოვი და სადაც დაიბადა გამოჩენილი ებრაელი მწერალი გერცელ ბააზოვი, გაუკეთდა მემორიალური დაფა. ონში, იმ ქუჩას სადაც გერცელმა ბავშვობის წლები გაატარა, მინიჭებული აქვს მწერლის სახელი.

მრავალი საინტერესო ებრაელი ცხოვრობდა ონში, ძნელია რომელიმეს გამორჩევა, ყველა თავისებურად მიმზიდველი და განუმეორებელი იყო, ერთი რამ კი საერთო ჰქონდათ: სიბრძნე, მოთმინება, მიმტევებლობა და მშვიდობისმყოფელობა.

პოეტ **შალვა დავითაშვილს**, მართლაც განუ-მეორებელი ხიბლი ჰქონდა. ჩუმი, უხმაურო, ზრდილობიანი, შრომისმოყვარე პიროვნება იყო, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სიღარიბის გამო სწავლა ვეღარ გააგრძელა, თუმცა ძალიან სურდა. ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მღებავობა შეისწავლა და ბინებს არემონტებდა. ბევრს კითხულობდა, მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა განსაცვიფრებელი იყო. ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, პირველი ნაწარმოებები ონისა და ამბროლაურის რაიონულ გაზეთებში დაბეჭდა, ხშირად გამოდიოდა საზოგადოების წინაშე და თავის ნაწარმოებებს. დაჯილდოებული იყო დიდი მუსიკალური ნიჭით, ეს მის პოეზიას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა.

„დუმილი განა სუყველას ესმის,
გულთა მორჩილი, სათუთი ძგერა,
დუმილი ზოგჯერ უთქმელი ლექსი,
და გოლიათი ზარების ჟღერა“.

მაშინ, ათი წლის თუ ვიქნებოდი, ზაფხულის არდადეგები გვქონდა, ბავშვებს გვინდოდა, რომ თამაშითა და გართობით, გული გვეჯერებინა, მეზობლის ოჯახი, სადაც დედაქალაქიდან იყვნენ ჩამოსული ბავშვები, მეზობელთან რემონტს აკეთებდნენ, კედლებს ღებავდნენ და ალამაზებდნენ ხელოსნები. ამ ოჯახს ფირსაკრავი ჰქონდა და ხშირად გვასმენინებდნენ მუსიკალურ ნაწარმოებებს. ერთხელ, როდესაც ბავშვები შევხვდით ერთმანეთს, დათომ გაგვიხმო და ჩურჩულით გვითხრა — ბავშვებო, რომ იცოდეთ, ჩვენი სახლის ხელოსანი, — „მალიარი“ — რა უცნაური კაცია, ჩავრთავ თუ არა ფირსაკრავს და „ავე მარიას“ ხმას გაიგონებს, გაჩერდება, ჩაფიქრდება, სამუშაოს თავს ანებებს, თვალები ცრემლებით აევსება, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, ცრემლები ღაპაღუპით ცვივაო.

ძალიან დავინტერესედით, გვკლავდა ბავშვური ცნობისმოყვარეობა და ვფიქრობდით, როდის მოვიდოდა ის დრო, რომ ყველაფერი ჩვენი თვალით გვენახა. ეს დროც დადგა, დილით, როდესაც ხელოსანი საქმეს იწყებდა, მეგობართან მივედით. მან რა თქმა უნდა, ჩართო ფირსაკრავი და აჟღერდა უკვდავი „ავე მარია“. „მალიარს“ თვალს არ ვაცილებდით, საქმეს თავი დაანება, ფირსაკრავთან ახლოს ჩამოჯდა, სევდიანი, ჩაფიქრებული, მწუხარებით სავსე, ბავშვების იქ ყოფნას ვეღარცა გრძნობდა, ცრემლები სახეს უსველებდა, მოწანწკარებდა და არაამქვეყნიურ ქმნილებას ჰგავდა. ... დაახლოებით ათი წლის შემდეგ, ბედმა ერთმანეთს შეგვახვედრა — პოეზიის საღამოზე გამაცნეს — შევხედე თუ არა მივხვდი, რომ ეს კაცი, ის „უცნაური მალიარი“ იყო, „ავე მარიაზე“ რომ ტიროდა. დავმეგობრდით, ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა, კარგი პოეტი. თავისი წიგნის გამოსვლასაც მოესწრო, წიგნი „ვედრება“ გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა, და დიდი მოწონებაც დაიმსახურა მის ლექსებში იგრძნობა ქართველი ხალხის სიყვარული, პატივისცემა, ერთგულება და აღთქმული მხარის, ისრაელის დიდი სიყვარული.

საინტერესო იყო პოეტთან შეხვედრა, რაღაც ახალი და საოცარი უნდა ეამბნა შენთვის, მოგვეფერებოდა მადლიანი სიტყვით და გაგრძნობინებდა, რომ სულიერად ამაღლებულ ადამიანთან გქონდა საქმე – ოჯახიც შესანიშნავი დარჩა შალვა დავითაშვილს, უერთგულესი მეუღლე ქალბატონ ციცო და ქალ-ვაჟი პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული ლუიზა — ქალთამზე, როგორც მამა ეძახდა. განუმეორებელი იყო შალვას მეგობრობა ქართველებთან, არაერთი სტრიქონი უძღვნა მათ და პოეტური სიტყვით გამოხატა ერთგულება და სიყვარული, მისი პოეტური მემკვიდრეობა ორიგინალურია, ფილოსოფიურ-რელიგიური და საინტერესო.

ებრაელები ისე სპეტაკნი და ჯანსაღნი იყვნენ, როგორც მათი გამზრდელი ბუნება. ჭიდაობა, ცხენოსნობა, ცურვა, სირბილი, რიკტაფელა, საყე-ბურთი სულსა და სხეულს აკაჟებდა.

ვინ არ მოუხიბლავს ქართული ჭიდაობის დიდოსტატს დავით ხახიაშვილს მის მოქნილობას, სიმამაცესა და დიდ ფიზიკურ ძალას, მისი ოჯახი მოჭიდავეთა სამჭედლო იყო. დავითის ძმა სიმონ ხახიაშვილი, უფროსი ვაჟიშვილი იაშა ხახიაშვილი დიდი ფალავანი, არაერთხელ გამარჯვებული საქართველოს მასშტაბით და 1978 წელს ირანში გამართულ მსოფლიო პირველობაზე. გამარჯვებული, კარგი მოჭიდავეები იყვნენ: შაქრო ჩაჩაშვილი, შალვა ამშიკაშვილი, იაშა ჩაჩაშვილი და სხვები. იაშა ხახიაშვილის სახელობის ჭიდაობის ტურნირი, ყოველ წელიწადს ტარდება ქალაქ ონში.

ლამაზი და ლაღი იყო კალათბურთელი დათო ამშიკაშვილი (კაკილიჩი), ეს ბრგე ვაჟკაცი, ულამაზესად თამაშობდა და მისი ნატყორცნი ბურთი უზუსტესად ვარდებოდა ბადეში, უდროოდ წასული ამ ქვეყნიდან, ტოლ-სწორებს გამოკლებული და ლამაზი ოჯახის დამტოვი, ონმა დიდხანს იგლოვა და ვინც მას იცნობდა, არავინ არ დაივიწყებს.

კარგი სპორტსმენები იყვნენ სიმონ (ქერქუა) ხახიაშვილი, შაქრო ჩაჩაშვილი, მოშე (კვენცხები) ჩაჩაშვილი, ილუშა ჩაჩაშვილი, ბესიკ ხახიაშვილი და სხვები.

არ მეგულება საქართველოში ადამიანი, ქართველი, რომელსაც თავისი მეგობარი ებრაელი არ ენატრებოდეს.

ჟუჟუნა და იოსკა ხახიაშვილების ოჯახი გამორჩეული იყო რაჭაში თავისი დიდი ისტორიითა და დიდი სიყვარულით. ეს ადამიანები ძალიან ლამაზ, კეთილგანწყობილ გარემოს ქმნიდნენ ქალაქში, ულამაზესი შვილებით. ამ ოჯახთან მეგობრობა და მეზობლობა სულიერად გვამაღლებდა. მანანა, ჩემი თანაკლასელი იყო და მისი მშობლებისგან დიდი სითბო და სიყვარული ერგო ყველა ჩემს მეგობარს, ვინაიდან მათ ოჯახს არ ვშორდებოდით, ბავშვებს არ გვბეზრდებოდა მათთან ყოფნა, ოჯახის წევრებად ვთვლიდით თავს, არ გვაკლებდნენ ყურადღებასა და ზრუნავდნენ ჩვენზე. განა მარტო მანანას თანაკლასელებთან იყვნენ კეთილგანწყობილნი, მთლიანად სამეზობლოს მიმართ, გასაჭირში მყოფებს ყოველთვის დახმარების ხელს უწვდიდნენ. მანანას უფროსი და მერი, არაჩვეულებრივი, ულამაზესი ქალბატონია, მართალია ის, თანაკლასელი არ იყო ჩვენი, მაგრამ ყოველთვის მეგობრობდა და გვმასპინძლობდა სიყვარულით, ის ძალიან განვითარებული, ნაკითხი, გემოვნებიანი, დახვეწილი გოგონა იყო, წერდა: არაჩვეულებრივ ნოველებს, ლექსებს, მოთხრობებს, გვასმენინებდა კლასიკურ მუსიკას, გვესაუბრებოდა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და სულიერად გვამდიდრებდა. შრომისმოყვარეობა და ცოდნისადმი სწრაფვა გამოარჩევდა თანატოლებისაგან, ეს თვისებები განავითარა კიდევ უფრო და წარმატებულად მოღვაწეობს ისრაელში, მსოფლიოს აცნობს საქართველოსა და მისი ერთ-ერთი პატარა კუთხის — რაჭის ამბებს, მის ხალხს და სიყვარულს ნერგავს ერებს შორის. მისი რეპორტაჟები, ეთერში გასული უმნიშვნელოვანესია. მასზე ბევრს წერდნენ და არაერთ ცნობილ პიროვნებას უძღვნია მისთვის ლექსი და ჩანახატი, გამოუხატავს თაყვანისცემა და სიყვარული.

ერთ-ერთი დათო ერისთავია, რომელმაც თბილი სიტყვები უძღვნა ამ უმშვენიერეს ქალბატონს:

„უმკაცრეს დროსთან გაგიმართავს
ფიცხელი ომი,
გამარჯვებული მშვენიერება
ეხლა ზეიმობს.
შემივსეთ ყანწი
ლამაზო ქალო,
და ნება დამრთეთ
გათენებამდე რომ ვიქეიფოთ“.

მე, მანანამ და რამდენიმე თანაკლასელმა (ლელა ბერუჩევმა, მანანა კინწურაშვილმა) გადავწყვიტეთ, „ვეფხისტყაოსნის“ კალიგრაფიული ნიმუში შეგვესრულებინა. მერი, ამ საქმეში ჩვენი გულშემატკივარი და მხარდამჭერი აღმოჩნდა. ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ გადავეცით უსაყვარლეს მასწავლებელს ქალბატონ შუქურა ჯაფარიძეს. მერი და მანანა, არაჩვეულებრივი კალიგრაფები არიან, საუკეთესოდ სწავლობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

როდესაც ჩამოდის ისრაელიდან ქ-ნი მერი ყველა ქართველისათვის სასურველი და საპატიო სტუმარია, მას სიხარული და ბედნიერება მოაქვს. ის ყოველთვის იმეორებს ამ სიტყვებს: „გაუფრთხილდით ამ ლამაზ ქვეყანას, ჩვენ და თქვენ, საქართველოს“.

საოცრად გულუხვი და სტუმართმოყვარე კაცი იყო იოსკა ხახიაშვილი, ბედნიერი ვარ, რომ ყველა ტკბილი, ბავშვობისდროინდელი მოგონება, მის ოჯახს უკავშირდება, აქ, მათთან შეგეძლო სიახლე გენახა: წიგნის, ჟურნალ-გაზეთების და სხვა სახით. იოსკა ხახიაშვილის ოჯახზე, ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას: სულით მდიდარ ადამიანებზე, სიბრძნითა და სიყვარულით ამაღლებულებზე, ძმობის მადიდებლებზე.

ქართველები და ებრაელები ერთად აშენებდნენ ქვეყანას, მადლიანი საქმით, სიტყვით, მეზობლობითა და მეგობრობით. როგორ შეიძლებოდა ებრაელს, მასხრად აეგდო, დაეცინა დაჩაგრულისთვის, გასაჭირში მყოფისათვის. უფრთხილდებოდნენ ღარიბ-ღატაკებს, მფარველობდნენ და ზრუნავდნენ, რომ მათ არ გასჭირვებოდათ, გადარჩენილიყვნენ.

შემოინახა ამ მიწამ და ზეცამ თქვენი სიყვარული, ებრაელო მეგობრებო, მისანდობრებო და ქართველების მოყვარულნო. ერთი ულამაზესი სიტყვა რომ გაქვთ „დაგენაცვლე“. საღვთო საქმეც ხომ მადლიანი სიტყვაა და მადლიანი საქმის კეთება. რა მადლიანი სიტყვა მოგიდის ჩემო სულიკო, როგორ ევლები თან ყველას, როგორ ეფერები ონელებს, ლუკმას აწოდებთ ყველას, განურჩევლად რწმენისა, თქვენთვის მთავარია ადამიანი, მისი დახმარება და გადარჩენა. ადამიანთა გადარჩენასა და ჯანმრთელობას ემსახურებით, მერი ექიმო, რამ უნდა დამავიწყოს, თქვენი ამაგი, როდესაც ავად გამიხდა დედა, როგორ დამიდექით ერთგულად, „ოღონდ გადაარჩინეთ და როცა საშუალება გექნებათ, მაშინ გადაგვიხადეთ საფასურიო“. ღმერთო! ეს რა სიტყვები იყო, გულიდან ამოსული, ალალი და წრფელი. არა მარტო ჩემთვის გითქვამთ, მთელი ონის რაიონის მოსახლეობისათვის გადამრჩენელი — ღვთაებრივი სიტყვები.

იმდენი ხართ, რომ ვერ შევძლებ ყველა ჩამოვთვალო, ვაი თუ ვინმე გამომრჩეს და გული დავიწყვიტო, მოხვედით და შეიყვარეთ ჩვენი ქვეყანა, ქართულ ენას მშობლიური უწოდეთ, ქართულ მიწას ნაკურთხი და გადამრჩენელი, ქართველ ხალხს — ძმები, ამიტომ გეუბნებით, გმადლობთ ერთგულებისა და სიყვარულისათვის. „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვა-რულს უშენებიაო“ — არა ერთხელ გითქვამთ.

პოეტმა დანიელ ხახიაშვილმა, წარუშლელი კვალი დააჩნია, რაჭის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს იყო პოეტი, რომელმაც დაუღალავად იღვაწა ქართველი ხალხი, რაჭა, — მისი მშობელი ონი გააცნო ქვეყანას, როგორც ქალაქი ძმობისა და სიყვარულისა.

ის ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო, ხალხის ცხოვრებითა და ჭირ-ვარამით ცოცხლობდა და ცხოვრობდა, — რაჭის კოლორიტული ფიგურა, სიყვარული და სითბო უხვად გაიღო, უყვარდა მშობლიური ხალხი და ეფერებოდა, რაჭაში თაობები იზრდებოდნენ მისი პოეტური სიტყვის მადლით. მან წრფელი გულით უმღერა, ქართველი და ებრაელი ხალხის ურღვევ მეგობრობას.

პოეტის გარდაცვალებამ ძალიან დაგვწყვიტა გული, იქნებ დადგეს ის ჟამი ჩვენს ცხოვრებაში, რომ დანიელისა და ჩემი მეგობარი დალი დარახველიძე და მე, მივიდეთ პოეტის საფლავზე და რაჭიდან, — კერძოდ, დანიელის ეზოდან დაკრეფილი ვარდები საფლავზე დავაწყოთ და ცრემლი დავადინოთ.

მქონდა ბედნიერება მისი უმცროსი მეგობარი ვყოფილიყავი, 60 წლისა და 70 წლის საიუბილეო საღამოების წამყვანი. არაერთხელ გავუმართეთ ბიბლიოთეკაში პოეზიის საღამოები და წიგნის პრეზენტაციები, 1998 წლის სექტემბერში ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების 26-საუკუნოვანი ზეიმის დღეებში, ონის სინაგოგაში გაიმართა პოეზიის დღესასწაული, დანიელის წიგნის „საქართველოდან ისრაელამდე“ — პრეზენტაცია, რომლის ინიციატორი მე გახლდით საბიბლიოთეკო აქტივთან ერთად.

რაბინი იომტობ ბუზუკაშვილი, გამორჩეული იყო სიბრძნითა და გონებით, ის გზას უკვალავდა და სიკეთით მოძღვრავდა, როგორც ჯამაათს, ასევე თავის შვილებს. ამიტომაც იყო ახალგაზრდა თაობის კეთილი მრჩეველი და მეგობარი მისი ქალიშვილი თინათინი, პროფესიით ბიბლიოთეკარი, ყველასათვის საყვარელი ადამიანია: კოლეგებისათვის, მეზო-ბლებისათვის, ონელებისათვის. ორმოცი წლის მანძილზე თავდადებულად ემსახურებოდა. წიგნის პროპაგანდის საქმეს, ჯერ მოზრდილ მკითხველთა, შემდეგ ბავშვების კულტურულ-აღმზრდელობით საქმეს, დიდი ავტორიტეტი დაიმკვიდრა როგორც რაიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ყოველთვის მაკვირვებს თავისი სიდინჯით, მოთმინებით, მიმტევე-ბლობით, გაწონასწორებული ქმედებით, რწმენისადმი სიმტკიცით წიგნიერ, მორწმუნე ოჯახში აღზრდილს, მუდამ თბილი სიტყვა მოუდის, მშვიდობას უსურვებს გარშემომყოფთ, მართლაც, ეტყობა, თუ როგორი გარემოცვა ზრდიდა და რას ჩააგონებდნენ ნათელმოსილი მშობლები.

საქართველოს უკვდავების წყაროს უწოდებს, თვალი და გული ჩვენსკენ აქვს, ახარებს კოლეგების კარგად ყოფნა და არაერთხელ ანთებს სალოცავში მეგობრობისა და სიყვარულის სანთლებს. მეგობრობის მარადიული გრძნობა გვასაზრდოებს და მომავალს გვილამაზებს.

დარწმუნებული ვარ, ათასობით სანთელი ინთება, ისრაელსა და საქართველოში სამშვიდობოდ და საკეთილდღეოდ.

ეს დიდებული ქალბატონი, ლოცავს საქართველოს, სადაც დაიბადა, სადაც მისი აკვანი დაირწა და სადაც სიყვარულით მზემ გაუთბო გული.

თინათინი, სახეა ბრძენი ებრაელი ქალისა.

ექიმ მიხეილ ჩაჩაშვილის შესახებ ლეგენდები დადიოდა. მის მადლიან გონებასა და მარჯვენას უამრავი ადამიანი გადაურჩენია, არ მეგულება რაჭაში ოჯახი, რომ ამ დიდებულ ადამიანს, უფლისგან გამოგზავნილს, არ დაეჩნია კვალი და მათი სიცოცხლის სადარაჯოზე არა მდგარიყო. ათენებდა და აღამებდა ავადმყოფის სარეცელთან, პროფესიისადმი ერთგულება, კაცთმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, ყველა საუკეთესო ადამიანური თვისებით შემკულ, ქირურგ მიხეილ ჩაჩაშვილს ყველაფერი შეეძლო გაეღო ავადმყოფის გადასარჩენად, როდესაც ის ონში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მშვიდად იყავი, რადგან დარწმუნებული იყავი, გადაგარჩენდა გასაჭირში მყოფს, ჯანმრთელობას შეგინარჩუნებდა, გვერდში დაგიდგებოდა, ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი დაიხსნა სიკვდილის კლანჭებიდან, რამდენ უიმედო ავადმყოფს იმედი ჩაუსახა. ის იყო თერაპევტიც, ექთანიც, პროფესორიც და გადამრჩენიც. რა ბედნიერი ღიმილი ამშვენებდა, როდესაც განსაცდელს დაძლევდა პაციენტი და ფეხზე დადგებოდა. გოლიათური გარეგნობისა იყო, უმაღლესი გონიერებით. მისი სამედიცინო გამოცდილება განსაზოგადოებული იყო და იქნება დღეს, როდესაც ასეთი უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაა და მედიცინის დარგი აღმავლობას განიცდის, სამედიცინო აპარატურა ეხმარება მედიკოსებს, სწორი დიაგნოზის დასმაში, რათა ავადმყოფს უმკურნალონ უახლესი პრეპარატებით. ამ უდიდესმა კაცმა სიახლეები დანერგა პაციენტების მკურნალობისას და არასოდეს არ მოსვლია შეცდომა, იმ დროს, როდესაც ყველაფერი დამოკიდებული იყო მხოლოდ მის ცოდნაზე, გამოცდილებაზე. უკვდავი სახელი დატოვა, ამ სახელოვანმა, შეუდრეკელმა პიროვნებამ ხალხის გულში და ონის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა მისი სახელი. არასოდეს არ იქნება დავიწყებული მიშა ექიმის ღვაწლი.

გაბაი ებრაელთა სალოცავის გამგეობის თავმჯდომარეა, რომელიც განაგებს სალოცავის ყველა საქმიანობას — ჯამაათთან ერთად ნიშნავს ხაზანს (მლოცველს), და შოხეტს (საქონლის დამკვლელს). ყურადღებას აქცევს, განაგებს ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმიანობას. მის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული სალოცავისა და ჯამაათის რელიგიური საქმიანობა, სალოცავის ადმინისტრაციული საქმიანობის გარდა, მასვე ევალება ებრაელთა სასაფლაოს დაცვა და წესრიგში მოყვანა.

სხვადასხვა წლებში ამ თანამდებობებზე მუშაობდნენ: მიხაკო (იაგორეენთი) ამშიკაშვილი — დიდი მორწმუნე და ჯამაათის ინტერესების ერთგული. ეუდა შიმშილაშვილი, მორწმუნე და დიდი ორგანიზატორი, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის დროს სასაფლაო ოთხივე კუთხით რკინა-ბეტონის გალავნით შემოსაზღვრა. სინაგოგა შეარემონტა და ახლებურად მოახატვინა მხატვრებს.

გაბაი — იცხაკ (მარჯვე) შიმშილაშვილი, ჯამაათის ერთგული და მშვიდობიანი კაცი; ქართველი ერის დიდი მეგობარი. მოშე-ხაიმი (ღუღა) ხახიაშვილი — ჯამაათის ერთგული და მორწმუნე. მიხეილ შიმშილაშვილი, ის კაცია, რომლის დროსაც სალოცავი გაქურდეს „სეფერ თორებისაგან“, მან თავისი ვაჟკაცობითა და თავგანწირვით დააბრუნა ნაქურდალი სეფერ თორები. გაბაი მიხეილ ხახიაშვილი, რომლის მოღვაწეობა ქართველ და ებრაელ ერთა შორის, მეგობრობისა და სიყვარულის განმტკიცებაში უდიდესია. მისი თავდაუზოგავი შრომითა და ენერგიით მიწისძვრისაგან დაზიანებული სალოცავი შეკეთდა და გამშვენიერდა. სინაგოგის გრანდიოზული 100 წლის იუბილე მომზადდა და ღირსეულად აღინიშნა. მსოფლიოს ყველა კუთხეს მისწვდა ხმა, ონში მცხოვრები ებრაული თემისა, რომ ებრაელები და ქართველები 26 საუკუნეა მეგობრულად ცხოვრობენ, უყვართ ერთმანეთი, ერთმანეთზე ლოცვას აღავლენდნენ.

იყვნენ სხვა გაბაიებიც, მათ შორის ფილხაზ ქოსაშვილი და სხვ. მათ მხარში ედგნენ შამაშები (შიდა მოსამსახურე ფარეშები), რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვანია. შამაშები იყვნენ: აბრამ ბუზუკაშვილი, იოხაი ხახიაშვილი, შიმყონ შიმშილაშვილი, ბინიამინ შიმშილაშვილი, შალვა ჩაჩაშვილი, დანიელ ყოყუაშვილი და სხვები. ისინი დაუზარელად უვლიდნენ სალოცავს, — ასუფთავებდნენ, ეზოსათავსოებს აწესრიგებდნენ, ანთებდნენ სანთლებს, დარაჯობდნენ სალოცავს, ამზადებდნენ ყიდუშს, კრეფდნენ ფასუკების ფულს და სხვ. მადლიან საქმეს ეწეოდნენ.

გაბაი მიხეილ ხახიაშვილი არის პიროვნება, რომელსაც უდიდესი ისტორიული როლი დაეკისრა და ბრწყინვალედ შეასრულა უფლისა და ერის წინაშე (ვინ წარმოიდგენდა ამ დროს, რომ 1991 წლის მიწისძვრისაგან დაზიანებული სალოცავი ასეთ დონეზე აღდგებოდა. მის სანახავად კი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები დაიძვრებოდნენ, ვინ წარმოიდგენდა მსოფლიოში უნიკალური დღესასწაულის ებრაელთა სინაგოგის 100 წლისთავის გადახდას, რომელმაც ასე წარმოაჩინა ებრაელთა და ქართველთა დიადი მეგობრობა-სიყვარული.

მიხეილის დიდი მონდომებითა და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ღირსეულად აღინიშნა სინაგოგის 100 წლისთავის იუბილე. სინაგოგის 110 წლისთავი და აგერ უკვე 120 წლისთავი აღინიშნება. წლევანდელი იუბილე ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ებრაული თემის უდიდესი ნაწილი წასულია საქართველოდან, ონში მცხოვრები 10-12 ებრაელისათვის რთულია ამ საზეიმო დღის მაღალ დონეზე ჩატარება, თუმცა „გვირგვინი“, თავისი აზროვნების სიღრმითა და მონდომებით ყველაფერს ვაჟკაცურად და ღირსეულად შეასრულებს,

შემორჩენილ ებრაელებს, სევდა აქვთ თვალებში ჩამდგარი, ჯამაათის ნაკლებობის გამო; თვალისჩინივით უვლიან დანატოვარ სულიერ და მატერიალურ საგანძურს, მამა-პაპათა საფლავებს და „ლოცვას“, ჩვეული სიდინჯით დააბიჯებენ და ერთმანეთს ამხნევებენ (მათ შორის ჩვენაც) ვინაიდან მათი აქ ყოფნა სასიხარულოცაა და მნიშვნელოვანიც: ცდილობენ უპოვარებს ლუკმა გაუყონ, საზრდო მიაწოდონ, ილოცონ და იშრომონ. მათთვის ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია, რადგან ღვთის შვილია. სიბრძნით ჭვრეტენ ცხოვრებას და თავიანთ მისიას ამ წუთისოფელში.

საქართველოდან წასულნი, სიკეთისა და ძმობის დარაჯად დგანან, არ ივიწყებენ საქართველოს, ქართველ ერს, ქართულ ენას და მომავალ თაობას იაკობის „დედაენას“ ასწავლიან, ასწავლიან ქართულ ცეკვასა და სიმღერას, მის კულტურასა და ხელოვნებას. არ ქრება სიყვარულის სანთლები, თვალწინ უდგათ კავკასიონის მთებით შემოჯარული პატარა ქალაქი, ორ მდინარეს შორის: რიონისა და ჯეჯორს შორის მოქცეული, ულამაზესი ხედებით, რომელმაც აკვანი დაურწიათ, „იავნანა“ უმღერათ და დააფრთიანათ. საქართველოზე მოგონებები ტკბილია.

დღესაც ჩამესმის მათი ტკბილი ხმა, განსაკუთრებით ერთი მეგობარისა: „დაწერე სავედრებელი, რომელსაც აუცილებლად დავტოვებ გოდების კედელთან, ყველაფერი რომ კეთილად შეგისრულოს უფალმა“.

„ვინ ვართ ქართველნი,
თქვენ მაინც იცით:
ვაჟავ და იცხაკ,
აბრამ და შალომ...
ეგ სიყვარული
ქართულ მიწის
ღმერთმა ნურასდროს ნუ მოგიშალოთ!
ებრაელებო!...
ერო ძირძველო!
ნიჭის კაცებო,
საქმის კაცებო,
ყოველთვის დავლევ
თქვენს სადღეგრძელოს ძმობით,
ცრემლებით
და აღტაცებით!“

თბილისის მერი ისრაელში

საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ორგანიზებით, 8-9 სექტემბერს თბილისს ისრაელის დელეგაცია ეწვევა.

ისინი თბილისში ადგილობრივ პარტნიორებს შეხვდებიან, ისრაელიდან ასევე ჩამოვა მედიაჯგუფი, რომელიც თბილისის ტურისტულ პოტენციალს და მიმდინარე პროექტებს და პროგრამებს გაეცნობა.

საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ორგანიზებითა და ისრაელში საქართველოს საელჩოსა და ქნესეთის მხარდაჭერით, 17-18 აგვისტოს გაიმართა თბილისის მერის დავით ნარმანიას ოფიციალური ვიზიტი ისრაელში.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი პერტაია, თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე მარგიშვილი, თბილისის საკრებულოს ურბანული კომისიის თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილი და ქართველი ბიზნესმენები.

დავით ნარმანიამ პირველი შეხვედრა ისრაელის Hi-tech-ის წარმომადგენლებთან გამართა.

თბილისის მერმა გამოთქვა სურვილი, ისრაელის Hi-tech-ის კომპანიამ ინვესტიცია თბილისშიც განახორციელოს და ხელი შეუწყოს ამ სფეროს განვითარებას საქართველოში. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ისრაელის მაღალი ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენლები ქართულ მხარეს Hi-tech-ის დანერგვაში დაეხმარებიან.

თბილისის მერმა შემდეგი შეხვედრა იერუსალიმის მერთან, ნირ ბარკათთან გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი იციკ მოშე, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

დავით ნარმანიამ თავის კოლეგას ვიზიტის მიზნები გააცნო. მისი თქმით, ამ ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტი.

"ჩემი ვიზიტი ემსახურება სამ მიმართულებას: პირველი არის ინვესტიციის მოზიდვა და კონკრეტული პროექტების განხორციელება, მეორე, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა და მესამე, მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა. დედაქალაქის კარი ღიაა ინვესტორებისთვის, მე პირადად ვარ გარანტი, რომ ხელი შეეწყობა პროექტების განხორციელებას. გვერდში დავუდგები თითოეულ ინვესტორს", – განაცხადა დავით ნარმანიამ. ნირ ბარკათი თბილისის საინვესტიციო გარემოთი, ტურიზმითა და სამედიცინო სფეროთი დაინტერესდა.

მისი თქმით, ტურიზმის განვითარება მათთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. იერუსალიმის მერი დავით ნარმანიას ძველი ქალაქის განვითარების გამოცდილების გაზიარებას დაპირდა. ამასთან, მისი თქმით, ის დაავალებს მერიაში არსებულ ტურიზმის სამსახურს, გამოცდილება გაუზიაროს თბილისის მერიას.

მერების შეხვედრის შემდეგ, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატამ ქართული დელეგაცია ებრაელ ინვესტორებს პირადად შეახვედრა.

ბიზნეს ფორუმი, რომელსაც ესწრებოდა ასამდე ისრაელელი, ამერიკიდან და გერმანიიდან ჩამოსული ებრაელი ბიზნესმენი, საქართველო- ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა, იციკ მოშემ გახსნა.

მისი თქმით, საქართველო- ისრაელის ურთიერთობებში დღევანდელი ფორუმი იერუსალიმში არის ისტორიული მოვლენა, რომელიც მყარ საფუძველს დაუდებს საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს.

„ბატონო მერებო, თქვენი მონაწილეობით, პირველად დაარსდა პირდაპირი საქმიანი და პროფესიონალური კავშირები. ეს ფაქტი არანაკლებად მნიშვნელოვანია ბიზნესმენებისთვის, რომ მათ იცოდნენ საქართველოში არსებული განწყობა და ინტერესი, რომ ეს იყოს პირდაპირი კავშირები, შუამავლების გარეშე, ყველა დონეზე", – განაცხადა იციკ მოშემ.

მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის ბიზნესპროექტები, რომელთა განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება.

„მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში ისრაელური ინვესტიციები გაყინულია, მინდა წარმოგიდგინოთ უკვე მზა პროექტები, რომელთა განხორციელება ისრაელური ინვესტიციით თბილისში სულ მალე დაიწყება. ესენია: სასტუმრო „გერგეთი" – დაიწყება 9/2015 – მოცულობა 25 მლნ დოლარი; სასტუმრო „რტ ოტელ" – 9/2015 – 12 მლნ დოლარი; სასტუმრო — „ბუტიკი "რუსთაველი" – 9/2015 – 5 მლნ დოლარი; სასტუმრო აპარტამენტები – 12/2015 – 7 მლნ დოლარი სასტუმრო და ბიზნეს ცენტრი – 12/2015 – 20 მლნ დოლარი; მოდერნიზებული სამრეცხაო – 9/2015 – 2.5 მილიონი დოლარი; Hi-tech-ის პირველი ისრაელური ექსელერატორი საქართველოში.

ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს იერუსალიმის მერმა ნირ ბარკათმა და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ. საქართველოსა და კერძოდ თბილისის ეკონომიკური პოტენციალისა და ბიზნეს გარემოს შესახებ პრეზენტაცია გამართეს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი პერტაიამ და თბილისის მეწარმოების ხელშეწყობის ცენტრის უფროსმა ალექსანდრე მარგიშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას თბილისის მერი პოტენციურ ინვესტორებს მათი ინვესტიციების დაცვასა და ხელშეწყობას დაპირდა. ბიზნესფორუმის დასრულების შემდეგ, თბილისის მერმა შეხვედრა გამართა ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერთან, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარესთან ხილიკ ბართან და მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან.

ამ შეხვედრას საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშეც ესწრებოდა. როგორც ხილიკ ბარმა აღნიშნა, ისრაელის ქნესეთის კარები ღიაა საქართველოსთვის, ხოლო მეგობრობის ჯგუფი ქართველ კოლეგებთან სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობის გააქტიურებას აპირებს.

თავის მხრივ, დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ანტისემიტიზმი არ არსებობს, ქართული მხარე კი ყოველთვის მზადაა, მხარი დაუჭიროს ისრაელს. საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის მიერ ორგანიზებული ვიზიტის მეორე დღეს თბილისის მერს თელავივის უნივერსიტეტმა უმასპინძლა, სადაც დავით ნარმანიამ აკადემიური პერსონალის წინაშე წაიკითხა საჯარო ლექციას თბილისში მიმდინარე რეფორმებზე.

guardian.ge–ს ინფორმაცია

აფხაზეთის ებრაელობა — მივიწყებული თემი

70 წლის იოსებ აშკინაზი ერთ-ერთია იმ ებრაელთაგან, მსოფლიოს საზოგადოებრიობის მიერ არაღიარებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ დარჩა.

დამოუკიდებელი აფხაზეთი მსოფლიოს თითებზე ჩამოსათვლელმა სახელმწიფომ აღიარა, მათ შორისაა რუსეთი. საქართველო კი ამ მხარეს კვლავ თავისი ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს.1992-1993 წლების ეთნიკური კონფლიქტის შედეგად, ეს კუთხე 200 ათასზე მეტმა ქართველმა დატოვა.ამათ შორის ბევრი იყო ადგილობრივი ებრაული თემის წარმომადგენელი. ამის მიუხედავად, სოხუმში ინალ იფას ქუჩაზე მაინც მოქმედებს სინაგოგა.როგორც ამერიკული გამოცემა ფორვარდ-ის მიმომხილველი მაქსიმ ედვარდსი აღნიშნავს, 2004 წელს სოხუმის ებრაული თემის საშუალო ასაკი 72 წელი გახლდათ.ძნელი წარმოსადგენია, რომ მას შემდეგ თემი გაახალგაზრდავდა. 1989 წელს აფხაზეთში 13000 ებრაელი ცხოვრობდა დღეს კი მთელ რესპუბლიკაში 200 ებრაელიღა თუ დარჩა.

1993 წელს „სოხნუთმა" ბევრი ებრაელი ორგანიზებულად გაიყვანა ისრაელში, მაგრამ ზოგიერთმა ვერ მიატოვა თავისი სახლ-კარი. საინტერესოა, რომ ძირითადად ქართველი ებრაელები წავიდნენ, დარჩნენ აშკენაზი ებრაელები.

სინაგოგა ნახევრადდანგრეულია. ქართველთა და აფხაზთა სამხედრო დაპირისპირების წლებში სინაგოგა ძალიან დაზიანდა. მის ეზოში იოლად იპოვით მიკვეს და მაცის საცხობს, რომელიც 50 წელია უქმად დგას –არავის არ გამოუყენებია.

აფხაზეთის ებრაულ თემს მოსკოვის იეშივის კურსდამთავრებული — 38 წლის იგორ ჩერნიაკი ხელმძღვანელობს, იგია აფხაზეთის ებრაული კონგრესის პრეზიდენტიც.შაბათის ლოცვაზე თხუთმეტამდე მოხუცი ებრაელი თუ მოდის და სამლოცველო დარბაზის მეხუთედსღა ავსებს.

— აფხაზეთის ებრაული თემი არა-რა დისკრიმინაციას არ განიცდის, აფხაზებმა საერთოდ არ იციან, თუ რა არის ანტისემიტიზმი. თუმცა, ქართველ ებრაელებს გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ეს პრობლემები ჰქონდათ არა იმის გამო რომ ებრაელები იყვნენ, არამედ იმის გამო რომ ქართველები იყვნენ.

ორადორი საქველმოქმედო ებრაული ორგანიზაცია, რომელიც აფხაზეთის ებრაულ თემს დახმარებას უწევს, გახლავთ საერთაშორისო ჰუმანიტარული ფონდის „ჯოინთის" როსტოვის განყოფილება და სოჭის ებრაული თემი.

ამ არაღიარებულ რესპუბლიკას ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ერთხელ ეწვია. ეს იყო2004 წელს.ამ ფაქტმა აფხაზეთის მოსახლეობა დადებითად განაწყო ებრაელობისადმი.საქართველოსა და სომხეთში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რივკა ქოენს გულთბილი სიტყვებით მიმართეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ებრაული თემის ლიდერებმა.

იოსებ აშკინაზი ედვარდს ძველ, გახუნებულ ფოტოალბომს უჩვენებს ფოტოებზე აღბეჭდილია თემის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. შავ-თეთრი, საბჭოეთის დროინდელ ფოტოებზე ასახულია ხრუშჩევისა და ბრეჟნევის დროინდელი აფხაზეთის ებრაელთა გაფურჩქვნილ- აყვავებული, ცხოვრების დღეები. გაფურჩქვნილ-აყვავებული, რასაკვირველია საბჭოთა საზომებით.

„ჩვენ მოხარულნი გახლდით გავცნობოდით სოხუმის ებრაელობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.გაგვახარა იმან,რომ აქ ებრაელებს საშუალება ეძლევათ შეინარჩუნონ თავისი რელიგიისადმი ერთგულება.გვინდა, ადგილობრივი ებრაული თემის ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იყოს". 1970 წელს ინგლისურ ენაზე ასეთი ჩანაწერი გაუკეთებიათ სათემო ალბომში ამერიკელ ტურისტებს: ჯონათან ბერნშტეინს, ჯოი ზილბერს, და მირიამ ვაინბერგს.

დიახ, დღეს სოხუმის ებრაელებს კარგი დარი, მართლაც, არ უდგათ. მაგრამ როგორც იოსიფ აშკინაზი ამბობს, მათი დავიზია ფაზილ ისკანდერის სიტყვები. ისკანდერი, მართალია, რუსულად წერს, მაგრამ აფხაზთა ეროვნული ხასიათის ჭეშმარიტ გამომხატველად ითვლება: „იმისათვის რომ ნამდვილ იუმორს ფლობდე, უკიდურეს პესიმიზმამდე უნდა მიხვიდე.უნდა ჩაიხედო უსასოო უსასრულობაში, დარწმუნდე, რომ იქ არაფერი არ არის და აუჩქარებლად გამობრუნდე უკან. აი, ამ უკან მობრუნების გზის მიერ დატოვებული კვალი იქნება ნამდვილი იუმორი"

მასალა მოამზადა რობერტ ბერგმა
http //.www.jewish.ru

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

არიელ ლევინი

რაბი არიელ ლევინი რაბი ცვი ვასერმანის სტატიის მიხედვით

როშ ჰაშანა უნიკალური დღესასწაულია, რადგანაც ხასიათდება არა იმით, თუ რას ვღებულობთ მისგან, არამედ იმით, რომ თუ რას გავცემთ. ყოველი "იომ ტოვ" (კარგი დღე – დღესასწაული) ისეა კონცენტრირებული, რომ გვიბოძოს რაიმე საჩუქარი, ჩამოაყალიბოს ჩვენში რაიმე ნათელი აზრი ან შეგრძნება. მაგალითად, ფესახი გვაძლევს ეგვიპტიდან გამოსვლის უნარს. ეგვიპტე ხომ არა მარტო ფიზიკური ზეწოლის სიმბოლოა. ის არის ფარაონის მიერ გამოხატული აზროვნების სახეობის სიმბოლო. ფარაონი იყო ფილოსოფიის "ძალა ჩემი და ჩემი ხელების სიძლიერე" (რაც დღეისათვის გამოთქმის "ძალა ყოველთვის ამართლებს" ექვივალენტია) წარმომადგენელი. მიტომ ფესახი გვასწავლის "იეციათ მიცრაიმ"-ს, ანუ ასეთი სახის აზროვნების მარწუხებიდან განთავისუფლებას.

და რას ვღებულობთ როშ ჰაშანაში?

ქმნადობის საბოლოო მიზანი გამ-ნის გამეფებაა: "და მაშინ გამ-ნი გახდება მთელი სამყაროს მეფე" – წარმოვსთქვამთ როშ ჰაშანის ლოცვებში. როშ ჰაშანა გამ-ნის კორონაციის დროა: "წარმოსთქვი ჩემს წინაშე გამეფების ფარაშები (მალხიოთ), რათა მაქციო მეფედ საკუთარი თავისა".

რატომ გვთხოვს გამ-ნი მის გამეფებას?

რა თქმა უნდა, გამ-ნის რაობა არ გამოიხატება იმაში, რომ მასზე შევძლოთ ადამიანური ეგოიზმისა და სისუსტეების გადატანა; მას არ სჭირდება იყოს მეფე საკუთარი თავისა. მაშ, რაშია მისი სამეფო ტიტულით დაჯილდოვების აზრი?

გამ-ნს ყველაფრის გაკეთება შეუძლია. თუმცა, მან ისე შექმნა ეს სამყარო, რომ "არ შეუძლია" მიიღოს მხოლოდ ერთი სასურველი რამ ადამიანის ჩარევის გარეშე – "არ შეუძლია" გაამეფოს საკუთარი თავი.

ტერმინმა "მეფე" დღეისათვის დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. მეფე დიქტატორი არაა. დიქტატორები იმორჩილებენ ხალხებსა და ერებს, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი მეფობენ, რადგანაც ხალხი საკუთარი ნების გარეშე ემორჩილება მათ. სადამ ხუსეინი არ იყო კუვეიტის მბრძანებელი, რადგანაც მისი არმია შეიჭრა ამ ქვეყანაში და თავს მოახვია საკუთარი კანონები. სიტყვის "მეფე" თავდაპირველი მნიშვნელობაა მმართველი, რომელიც მისმა ქვეშემრდომებმა ცნეს, აღიარეს. "არ არსებობს მმართველი ქვეშემრდომთა გარეშე. რადგანაც გამ-ნმა ადამიანი არჩევანის თავისუფლებით დააჯილდოვა, ერთის მხრივ სამყარო საკუთარი სიძლიერით, ძალაუფლებით აავსო, ხოლო მეორეს მხრივ – გარკვეულწილად შექმნა იმის ილუზია, რომ ბუნების კანონები მისი ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. ესაა მისი სიდიადე – ერთდროულად დაფარულიცა და აშკარაც ადამიანს აძლევს ნების თავისუფლების გამოხატვის საშუალებას; ის აძლევს იმის საშუალებას, რომ აირჩიოს: ან ჩაწვდეს სიღრმეებს გამ-ნის სიდიადის წვდომისას, ან მოტყუვდეს იმით, რასაც ზედაპირზე ხედავს. მხოლოდ მის ქვეშემრდომთა არჩევანის თავისუფლების წყალობით, მათა თავისუფალი არჩევანის მეშვეობით შრიძლება გახდე მმართველი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. შწორედ ამ მიზეზით შექმნა გამ-ნმა სამყარო, რომელშიც ის "თითქოსდა" ელოდება, რომ თავისუფალი ნებით აღჭურვილი ადამიანი მას გვირგვინს დაადგამს.

და, რა შეგვიძლია მივანიჭოთ ჩვენ გამ-ნს როშ ჰაშანაში? სამეფო ღირსება.

ვანიჭებთ რა გამ-ნს მეფის წოდებას, ჩვენ, უდავოდ, ვიღებთ იმდენივეს (თუ მეტს არა), რასაც ნებისმიერი რამის მიღების შემთხვევაში. ოლოს და ბოლოს, სხვადასხვა სახის ტოტალიტალური რეჟიმის არსებობა უფრო და უფრო გვიმტკიცებს იმას, თუ როგორ გვჭირდება გამ-ნის კორონაცია. სევეა ინდივიდუალურ დონეზეც – ფსიქოლოგები, საზობადოებრივი ინფორმაციის საშუალებები, ჩვენს მიერ

ოვ

ამ

ანამ

ა

გამოგონილი გეგმები უფრო და უფრო გვარწმუნებენ იმაში, თუ როგორი შეზღუდულები ვართ ჩვენს კეთილდღეობაზე რაიმე გავლენის მოხდენაში. საყოველთაო და პირადი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ადამიანს არ სეუძლია წარმატებულადმართოს საკუთარი თავი. ხოლოდ შემოქმედის ბატონობისა და ნებისადმი დამორჩილებით შეგვიძლია გვქონდეს სულის თავისუფლების შეძენის იმედი. არ არსებობს სხვა მმართველი გამ-ნის გარდა. და, სხვა არავინ, ჩვენს გარდა, არ ღებულობს მოგებას მისი დიდსულოვნებისაგან, მამობრივი გამოვლინებებისაგან.

კონკრეტულად რაშია გამ-ნისადმი სამეფო ღირსებების მინიჭების არსი? მისი კორონაციის არსი? იმაში, რომ ჩვენ ვაღიარებთ მის თანდასწრებას ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, გამოვლინებაში. და თუ ამას ღრმად და გაგებით გავაკეთებთ, მაშინ, საბოლოო ჯამში, ეს აღიარება გარდაქმნის და განაახლებს ჩვენს ქმედებებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ვაქციოთ გამ-ნის სურვილები ჩვენს სურვილებად.

ეს ძალზე რთული ამოცანაა. უმეცრება, სიზარმაცე, ფიზიკური სურვილები და ეგო ხშირად გვიშლის დავინახოთ და გავაკეთოთ ის, რაც ჩვენთვის ნამდვილი სიკეთეა. ამიტომაც გვაკურთხა გამ-ნმა დღით, რომელიც ექსკლუზიურად მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება – როშ ჰაშანით.

რა თქმა უნდა, მსგავსი სამუშაო მთელი წლის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს. როშ ჰაშანა მხოლოდ განსაზღვრული დროა, როდესაც კორონაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გაგებისა და იმედით, რომ ის მოგვცემს გამ-ნის სიძლიერის აღიარების ენერგიას ჩვენს ყველა საქმიანობაში მთელი წლის მანძილზე. თუმცაღა, სწორედ ამ დღეს გვეძლევა განსაკუთრებული საშუალება იმისა, რომ შევუერთდეთ და კონცენტრაცია მოვახდინოთ გამ-ნისათვის იმ ერთადერთი რამის გადაცემაზე, რაც მას სჭირდება – მისი მბრძანელობისადმი ჩვენი ერთგულების გადაცემაზე.

გილოცავთ ახალი წლის, ახალი შესაძლებლობების დადგომას. ყოველ ებრაულ ოჯახში და მთელს სამყაროში მას მხოლოდ სიკეთე, სიხარული, სიყვარული, გამრავლება და ბედნიერება მოეტანოს.

ლეშანა ტოვა თიქათემუ ვეთიხათემუ.

OLAMI

კლუბი "ოლამი" გთავაზობთ!

ის რასაც ამდენი ხანი ელოდებით!!!
თორის და ივრითის შემსწავლელი კურსები
გვაქვს დამატებითი ადგილები, როგორც ვაჟებისათვის ასევე გოგონებისათვის.
სტუდენტებისთვის განსაზღვრულია სოლიდური სტიპენდია, რომლის მეშვეობითაც მოგეცემათ უმაღლესი სასწავლებლის საფასურის დაფარვის საშუალება.
ჩაწერისათვის და დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
2 98 85 50- ოფისი (13.00 - 17.00 საათამდე)
555 569 562 - იაელი
გმადლობთ!

OLAMI

კლუბი „ოლამი“ აცხადებს კონკურსს მადრიხის ვაკანსიაზე!

მოთხოვნები:
- **ისრაელი ახალგაზრდა 15-30 წლამდე**
- **სასურველია უცხო ენების ფლობა**
- **კომპიუტერული პროგრამების ცოდნა**
- **კომუნიკაციის უნარი**
- **გუნდური მუშაობის უნარი**
- **პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა**
- **პროგრამების ჩატარების უნარი**
- **ანალიტიკური აზროვნების უნარი**
- **პასუხისმგებლობის გრძნობა**
- **დავალებების სწრაფად და ხარიხსიანად შესრულების უნარი**

ძირითადი მოვალეობები:
- **მიზნობრივ სტუდენტურ ჯგუფებთან მუშაობა**
- **სტუდენტების მოთხოვნილებების კვლევა**
- **ივენთების ორგანიზება და კოორდინაცია (პროგრამების შედგენა)**
- **სხვა დამატებითი ფუნქციები (ხემძღვანელობისაგან)**
- **ყოველთვიური ანგარიშის მომზადება, განვლილ თვეზე**

მოვალეობების და პირობების სრულ სიას გაეცნობით გასაუბრებაზე!

სავალდებულოა შეავსოთ განაცხადის ფორმა და გამოაგზავნოთ.
maikomami@mail.ru (ფორმის ჩამოსატვირთად შებრძანდით ჩვენს facebook გვერდზე)
ბოლო ვადა - 17 სექტემბერი 17:00 საათი
გასაუბრება შედგება 20 სექტემბერს .
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირით ნომერზე
2 98 85 50- ოფისი (13.00 - 17.00 საათამდე)
555 569 562 - იაელი

ახალი წიგნები

სიდური ბავშვებისათვის ქართულ ენაზე ნახატებით, ისტორიებით და საინტერესო ფაქტებით – მეტად საჭირო წიგნია, რომელსაც კარგა ხანია ელოდა საქართველოს ებრაელობა. წიგნის მიზანი ბავშვებში გაალვიძოს მშობლიური ხალხის, მისი ტრადიციების სიყვარული, სიყვარული თორისა. ამ ბოლო ხანებში არაერთი გამოცემა ვიხილეთ ქართულ ენაზე, მაგრამ ყველა ეს უფროსებისათვის იყო განკუთვნილი. საბავშვო წიგნებს, მოგეხსენებათ, თავისი სპეციფიკა გააჩნია, განსაკუთრებით ისეთებს, როგორიც სიდურია. საერთოდ, სიდურის, ხუმაშის, მიშნის თარგმანები ბავშვებისთვის უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს – უნდა შეგეძლოს ბავშვური ფაქიზი სულის შეგრძნება და, ალბათ, გულში ბავშვადაც უნდა გრძნობდე თავს. წიგნი, ლოცვების გარდა, მოიცავს ებრაული ცხოვრების წესებს და ებრაელი გმირების ისტორიებს.

წიგნი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისის ებრაულ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა პატარების საყვარელ წიგნებს შორის. წიგნის ავტორი და გამომცემელი გახლავთ აჰარონ ჯანაშვილი. ხაზგასმითაა აღსანიშნავი ყველას დამსახურება, ვინც მონაწილეობა მიიღო, რათა ნაშრომს დღის შუქი ეხილა. ჰაშემი მიეხმაროთ მათ ყოველ სასიკეთო საქმეში.

„ოლამი საქართველოს“ მხარდაჭერით გამოვიდა შესანიშნავი წიგნი ქართულენოვანი მკითხველისთვის, რაბი მოშე პანტელატის „ქაშრუთის გზამკვლევი“–ს მიხედვით.

მოგვეხსენება, რომ ქაშერი სამზარეულო ჩვენი ერის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია, ხოლო მისი წესების დაცვა ყველა ებრაელის ვალდებულება.

მისასალმებელია, რომ ჩვენს ქალაქში ყოველდღიურად ძლიერდება ქაშერი ლიტერატურის, ჩვენი თემის უმრავლესობისთვის გასაგებ ენაზე გამოცემა.

წიგნში ზოგად წესებთან ერთად განხილულია ისეთი დეტალებიც, რომელიც ქაშერი სამზარეულოს პირობებში შეიძლება ნებისმიერ ადამიანს გამოადგეს, როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო.

შეძენის მსურველებმა მიაკითხეთ სალოცავის „ბეით რახელ“-ის გაბაის.

„შორაშიმი“ ეროვნულ ფესვებს გვიძლიერებს

უმშვენიერესი ბუნება, შემოჯარული მთები, წიწოვანი ტყეები. ბაკურიანში აი, ასეთ ულამაზეს ადგილზე მდებარეობს სასტუმრო „თრიალეთი“, რომელშიც 2-11 სექტემბერს 60-ზე მეტი ბავშვი ისვენებდა, ერთობოდა და სწავლობდა.აქ მუშაობდა ებრაელი მოზარდების ბანაკი „შორაშიმ“ — კავკასია — 2015“.

ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ბანაკის ხელმძღვანელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნატალია ბაკულინა:

— რასაკვირველია, მოზარდთა გართობა-დასვენება ძალიან კარგია, მაგრამ ბანაკი მხოლოდ ამისთვის არ გამართულა. მთავარი მაინც მოზარდთა ეროვნული იდენტიფიკაციის გაძლიერებაა. ამ მიზნით ბავშვებს ვაცნობთ ებრაელი ხალხის ისტორიას, ტრადიციებს.განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ კავკასიის რეგიონის და ისრაელის ებრაელობის ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე. ყველაფერმა ამან მოზარდებში უნდა გამოავლინოს და განავითაროს ლიდერის, პოლიკულტურულ საზოგადოებრიობაში ტოლერანტული ჩვევები.

— ვინ დააფინანსა ეს კეთილშობილური წამოწყება?

— ბაკურიანში ბანაკს „შორაშიმ“ მეოთხედ ვატარებთ. წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, „შორაშიმ — კავკასია — 2015“დააფინანსა ბრიტანულმა საქველმოქმედო ფონდმა „ჩარიტიზ ეიდ ფაუნდეიშნმა“, ევრაზიის ებრაელთა კონგრესმა, საზოგადო მოღვაწეებმა, წარმატებულმა მეწარმეებმა და მეცენატებმა დავით იაკობაშვილმა, მარკ შაბადმა, მოზარდთა მშობლებმაც გაიღეს მინიმალური თანხა. ბანაკის ნორმალური მუშაობისათვის ჩინებული სამუშაო გასწიეს ევრაზიის ებრაელთა კონგრესის კიევის ოფისის, უკრაინის ებრაული ორგანიზაციებისა და თემების ასოციაციის, ქ. თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის „ბავშვთა ინიციატივა“ მოხალისეებმა, ებრაულმა სააგენტომ „სოხნუთმა“.

— რომელი ქვეყნის მოზარდები არიან ბანაკში წარმოდგენილი?

— ბაკურიანის ბანაკში შეიკრიბნენ საქართველოს უკრაინის, ისრაელის მოზარდები. 2015 წლის ბანაკის კონცეპტუალური თემა გახდა „გამოსვლა“. ეს თემა ბანაკის მუშაობის ყოველდღიური თანამდევი იყო და ავლენდა ამ პრობლემის მრავალმხრივობას — როგორც საზოგადოს, ეროვნულს, ასევე პიროვნულს. ამ თემის არსი წარმოჩინდებოდა სხვადასხვა, უკვე აპრობირებული პედაგოგიური მეთოდებით.ამასთან ერთად სხვადასხვა თამაშებით ბავშვებს საშუალებს მიეცათ გამოევლინებინათ თავიანთი შემოქმედებითი უნარი.

მოზარდები გაეცვნენ საქართველოს ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლებსაც. იყვნენ ქუთაისში, სადაც შეხვდნენ ებრაული თემის წევრებს, წყალტუბოსთან ინახულეს ე.წ. პრომეთეს მღვიმე, ბაკურიანში კი ყოველ საღამოს ტარდებოდა კონკურსები,ვიქტორინები, თამაშები, დისკოტეკა, პარასკევ საღამოს შაბათის საზეიმო შეხვედრა, შაბათ საღამოს — ავდალა. სპორტული ასპარეზობანი ტარდებოდა შესანიშნავ სპორტულ დარბაზში: ფეხბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ტენისი, ბადმინგტონი. მუშაობდა ბასეინი.

2 სექტემბერს ბანაკის საზეიმოდ გაიხსნისას მოზარდებს ესაუბრა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი,მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, მწერალი გურამ ბათიაშვილი. მოზარდებისთვის ეს იყო საინტერესო შეხვედრა. მწერალი მათ ესაუბრა ეროვნული იდენტიფიკაციის, ებრაული კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე, იმაზე, თუ რა ადგილაბებს ქართულ-ებრაულ ურთიერთობას

— გმადლობთ საუბრისათვის!

გაზეთ „მენორას“ რედაქცია იუწყება ქართველი ებრაელობის თვალსაჩინო წარმომადგენლის

პროფესორ თენგიზ ზონენაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ნათელა და ილია წიწუაშვილები, ციალა, გურამ და მალხაზ ბათიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

როზეტა მეგრელიშვილი -ხარაზიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ირა და მზია მეგრელიშვილებს, სოსო და თამუნა ხარაზიშვილებს შვილის, დისა და დედის გარდაცვალების გამო.

ლანა და გურამ ხარაზები, თეა და ეიალი შალიტები, ლიკა და კობი მამიები იუწყებიან ნიუ-იორკში

როზეტა მეგრელიშვილი -ხარაზიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ირა და მზია მეგრელიშვილებს, სოსო და თამუნა ხარაზიშვილებს შვილის, დისა და დედის გარდაცვალების გამო.

ლუტუ და მარო მიხელაშვილები, ლოვა და ნანა ხუბელაშვილები, გურამ და ლერა მეგრელიშვილები, რეზო არონაშვილი, ციალა,გურამ, მალხაზ ბათიაშვილები,ლანა და გურამ ხარაზები იუწყებიან

მალვინა სეფიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შოთა და მანანა სეფიაშვილებს მეუღლისა და დედის გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003